დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 6

ქ. დმანისი 26 ივნისი 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. შალვა ღამბარაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. მურაზი აბრამიშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. სტამბულ ისაევი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. გამლეტ ისმაილოვი
18. შახინ კოიალოვი
19. გუმბათ იუსუბოვი
20. ლეილა მიქიანი
21. მაია ციხელაშვილი
22. გურანდა ქოჩორაძე
23. ლევანი მოსეშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი , საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 30
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**

3	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების დადგენის შესახებ
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**

4	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**

5	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობის დადგენის, მოსაკრებლისაგან განთავისუფლების ან შეღავათის დაწესების და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**

6	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**

7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“
მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ფართის (ქ. დმანისში) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

9	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

10	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ციხელაშვილი**

11	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**თ.ციხელაშვილი**
12	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**თ.ციხელაშვილი**

13	**განკარგულება**: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების თაობაზე	
	მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**
14	**განკარგულება**: ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109-109240253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**
15	**განკარგულება**: ,,პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის" გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე	
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის #746 „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ" განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 350,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა, ასახული იქნას ორგანიზაციული კოდი 02_01_02 "გზების მშენებლობა რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 5 305,0 ათასი ლარის განისაზღვროს 5 655,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

2) დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის „ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის #გ-109.109240253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 მაისის #გ-109.109241442 განკარგულების საფუძველზე განხორციელდეს ცვლილება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ პროექტებში. კერძოდ:

- ორგანიზაციული კოდი 02_03_03 „კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში" „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი 76,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 36,5 ლარის ოდენობით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- ორგანიზაციული კოდი 02_04_03 „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება“ „სხვა ხარჯები“-ს მუხლი შემცირდეს 50,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 50,0 ათასი ლარის განისაზღვროს 0,0 ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 102,8 ათასი ლარით, და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1 267,7 ათასი ლარის განისაზღვროს 1 164,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ზემოთ ჩამოთვლილი შემცირებული თანხები განაწილდეს შემდეგნაირად:

- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა რეაბილიტაცია“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 69,4 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 695,7 ათასი ლარის განისაზღვროს 765,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 56,2 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 137,0 ათასი ლარის განისაზღვროს 193,2 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 67,2 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 2 013,3 ათასი ლარის განისაზღვროს 2 080,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

3) ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 50,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 01_02_01 „სარეზერვო ფონდი“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 150,0 ათასი ლარის განისაზღვროს 200,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

4) განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ნინო ომიაძის 2024 წლის 13 ივნისის #04-1082416552 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_05 „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ „სხვა ხარჯები“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 04_02_02 „პროფესიულ სტუდენთა ხელშეწყობა“-ს „სხვა ხარჯები“-ს მუხლში 4,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 10,0 ათასი ლარის განისაძრვროს 14,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

5) ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის დირექტორის დავით ჩხვიმიანის 2024 წლის 19 ივნისის #29-1082417137 წერილის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_01_01 ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“ „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან „სუბსიდია“-ს მუხლში გადატანილ იქნას 549,7 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 575,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

6) დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები დაკორექტირდეს შემდეგნაირად:
- ორგანიზაციული კოდი „შემოსულობები სხვა შემოსავლებიდან“ „ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის გათვალისწინებული“-ს მუხლი შემცირდეს 200,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 250,0 ათასი ლარის განისაზღვროს 50,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი „შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან“ „არაწარმოებული აქტივები“-ს მუხლი გაიზარდოს 200,0 აღასი ლარით და აღნიშნული კოდი განისაზღვროს 200,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 31 532,4 ათასი ლარის ოდენობით

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18
წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება'' (შემდგომში - დებულება), საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 85^5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. ახალი დებულების დამტკიცება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დებულების მოქმედ რედაქციის ბევრ მუხლში ნაცვლად მერის/მერიისა მითითებულია გამგეობა/გამგებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დებულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და ძალადაკარგულად გამოცხადდეს მოქმედი დადგენილება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ან ხარჯვით ნაწილზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტ(ებ)ში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის, ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 იანვრის N2 დადგენილება

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18
წინაღმდეგი:
გადაწყვიტეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად დადგენილების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3. მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების დადგენის შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

დადგენილების მომზადება განპირობებულია 2023 წლის 09 თებერვალს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალა უზრუნველყონ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტისა და მოსაკრებლის განაკვეთების ამ კანონთან შესაბამისობა.

აღნიშნულ კანონში შეტანილი ცვლილებით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტად ნაცვლად სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა, დიფერენცირდა და განისაზღვრება სისტემურ- ელექტრონული ფორმით - სამორინეს, სათამაშო აპარატების და ტოტალიზატორის თამაშობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დადგინდება მოსაკრებლის ოდენობები, რომელიც შესაბამისი იქნება ზემოაღნიშნულ კანონთან.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

რაც შეეხება, შემოსავლის ნაწილზე - კანონმდებლობის ახალი რეგულაციით და ამ დადგენილების მიღება გავლენას იქონიებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ვინაიდან, მოქმედი რეგულაციების თანახმად, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელს ან სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს მოაწყოს სისტემურ-ელექტრონული სამორინე და სისტემურ-ელექტრონული სათამაშო აპარატები, ანუ ორის სახის სისტემურ-ელექტრონული თამაშობა ერთი ნებართვის ფარგლებში და სისტემურ-ელექტრონულად მოწყობილ თამაშობაში იხდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაწესებულ ერთიან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს.

ახალი რეგულაციების შესაბამისად კი ხდება სისტემურ - ელექტრონული თამაშობების დიფერენციაცია და ასეთ პირებს მოუწევთ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდა თითოეული ობიექტის მიხედვით. რაც გაზრდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს. ოდენობა კი დამოკიდებულია იმ ნებართვის მფლობელთა რაოდენობაზე, რომლებიც ერთი ნებართვის ფარგლებში ახორციელებდნენ რამდენიმე სახის სისტემურ-ელექტრონულ თამაშობას და გააგრძელებენ საქმიანობას.

გ) სხვა ნორმატიულ აქტ(ებ)ში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის, ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება „დმანისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის N21-51 დადგენილება.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18
წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის “„დმანისის მუნიციპალიტეტში წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №14 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ წესში გასწორდება სიტყვები გამგეობა/გამგებელი - მერი/მერი-ზე, აგრეთვე გასწორდება ტექნიკური შეცდომები. გარდა აღნიშნულისა, დმანისის მუნიციპალიტეტში უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვზე კონტროლის განმახოციელებელ/სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ პირად, კანონმდებლობით დადგენილი წესით საამისოდ უფლებამოსილი პირთან ერთად, განისაზღვრება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, რაც იწვევ შესაბამის ცვლილებებს გარკვეულ მუხლებში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების მიღება ამ ეტაპზე არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. დადგენილების აღსრულება განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის არსებული ადამიანური რესურსით.

იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანო განახორციელებს მოხეტიალე შინაური ცხოველის დაჭერას და გადაყვანას სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე (სადგომზე), დადგება საჭიროება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯის გამოყოფისა, რომლის ოდენობის დათვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ვინაიდან არ არის განსაზღვრული

უფლებამოსილი პირი, რომელიც შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ან სხვა კერძოს სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებებს ან დამატებებს.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობის დადგენის, მოსაკრებლისაგან განთავისუფლების ან შეღავათის დაწესების და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნება მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი და მტკიცდება დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობის დადგენის, მოსაკრებლისაგან განთავისუფლების ან შეღავათის დაწესების და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი.

ამჟამად მოქმედი - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 თებერვლის N60 დადგენილებით მოსაკრებლის განაკვეთი 1 $მ^2$ ფართობისათვის განისაზღვრება:

ა) ქ. დმანისში, დმანისი - თბილისი, დმანისი - გუგუთის ავტოტრასის (გვერდულა ხაზიდან 100 მ. მანძილზე) გასწვრივ - 1,0 ლარი;

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დასახლებებს შორის არეალებში - 0,5 ლარი.

ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლით, მოსაკრებელი გამოიანგარიშება ობიექტის განაშენიანების ფართის (კვ. მეტრებში) გამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე.

წარმოდგენილი პროექტით, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობები და ადმინისტრირება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონთან იქნება შესაბამისი და ოდენობები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:

ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის:

ა.ა) ქალაქ დმანისის ტერიტორიაზე – 2,0 ლარი;

ა.ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე - 1,0 ლარი.

ბ) საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის - 3,0 ლარი.

გ) ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მშენებლობების გარდა, ყველა სხვა მშენებლობისთვის – 3,0 ლარი.

გ) ხაზობრივ ნაგებობებზე თითოეული გრძივი მეტრისათვის – 0,50 ლარი;

2. ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი განისაზღვროს:

ა) II კლასის ობიექტისათვის – 50 ლარი;

ბ) III კლასის ობიექტისათვის – 200 ლარი;

გ) IV კლასის ობიექტისათვის – 400 ლარი.

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი გამოიანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის (კვადრატული მეტრებში) მოსაკრებლის განაკვეთზე გადამრავლებით.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება პოზიტიურ გავლენას მოახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებზე.

გ) სხვა ნორმატიულ აქტ(ებ)ში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის, ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება „დმანისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების, გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 თებერვლის NN60 დადგენილება.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233321 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა“-ში.
ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახებს რომლებსაც ესაჭიროებათ ძირითადად საოჯახო ტექნიკა, შესყიდვების განყოფილების მიერ ჩატარებულმა ბაზრის კვლევამ დაადგინა რომ საჭირო ნივთების შეძენას არ ყოფნის 500(ხუთასი)ლარი, აქედან გამომდინარე შევიდეს ცვლილება ქვეპროგრამაში და დანართი N11 - ის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების შესაძენი თანხა შეადგენს არაუმეტეს 1000 (ათას) ლარს.“
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 18

წინაღმდეგი:

7.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად საჭიროა, მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა N56-ში მდებარე შენობის (ს/კ 82.01.46.081) მეორე სართულზე მდებარე 406,2 კვ.მ ფართი და სარდაფი 118,17 კვ.მ ფართი, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მისი არსებობის ვადით.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 18

წინაღმდეგი:

8.მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ფართის (ქ. დმანისში) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, საჭიროა მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებას" (ს/კ 211348816), ქ. დმანისში, ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე შენობიდან (ს/კ 82.01.45.351) 173,00 კვ.მ ფართი, ,,დმანისის ბავშვთა დღისა და ადრეული განვითარების ცენტრის" გახსნის მიზნით, სარგებლობის უფლებით, ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1 (ერთი) ლარი წელიწადში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

9. .მომხსენებელი: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საჭიროა, შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109.109240252 განკარგულების დანართი 1–ში და ავტომანქანა SKODA OKTAVIA-ს ფასი ამ ეტაპზე განისაზღვროს (აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე) 5828 ლარით.

დასახელება	**სახელმწიფო N**	**გამოშვების წელი**	**საიდენტიფიკაციო N**	**ფერი**	**მდგომარეობა**	**საბაზრო ღირებულება (ლარში)**	**სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი**
SKODA OKTAVIA	AA-982-BB	2013	AJ2446085	თეთრი	გამართული	5828	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

10. .მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საჭიროა შევიდეს ცვლილება აღნიშნულ განკარგულების პროექტში, ცვლილება განხორციელდა საწვავი შეიცვალა ბენზინის საწვავით, მხოლოდ ერთი კომისიის თავმჯდომარის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

11 .მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2024 წლის 13 ივნისის GOV 42400016573 სამართლებრივი დასკვნის შესაბამისად, საჭიროა რეგლამენტში შევიდეს ცვლილება და 112[1] მუხლი ამოღებული იქნას ,, პერსონალურ მონაცემთა დაცვა'', მიზანშეწონილია აღნიშნული ფუნქცია - მოვალეობები გათვალისწინებული იქნას საკრებულოს აპარატის დებულებაში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

12 .მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ივლისის №15 დადგენილებაში და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ვ'' ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) ,,თ" ქვეპუნქტი:

,,თ) უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ორგანიზებასა და მართვას;''

ბ) „ი" ქვეპუნქტი:

,,ი) უზრუნველყოფს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას."

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

13 .მომხსენებელი: სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების თაობაზე

სოფიო ასლამაზაშვილმა ისაუბრა 2020-2022 წლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ, აუდიტის ანგარიშიდან ირკვევა რომ, 2020 წელს საერთო კრების ოქმებში მითითებული დამსწრეთა რიცხოვნობა და მათზე დართული ხელმოწერების რაოდენობა ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევოდა ერთმანეთს.

ზოგიერთ შემთხვევაში იგივე მეორდება 2022 წელს შედგენილ ოქმებშიც;

ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაცია რომლის მიხედვითაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის პროცესში მოსახლეობის სათანადო ინფორმირებისა და მაღალი ჩართულობისათვის მუნიციპალიტეტებმა: - უზრუნველყონ პროცესის სათანადოდ ორგანიზება და მერის ბრძანებებში სრულყოფილად ასახონ ინფორმაცია დაფინანსების ოდენობის, შეხვედრის დროის/ადგილისა და სხვა საკითხების შესახებ; - კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით დანერგონ დამატებითი პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირებას და აქტიურ ჩართულობას პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მაქსიმალურად გამოიყენონ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა პლატფორმა და რეგულარულად განაახლონ ინფორმაცია ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში; - ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ერთად იმსჯელონ არსებულ წესში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობების შესახებ, რათა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები, როგორებიცაა: შეხვედრაზე დისტანციურად დასწრება, კენჭისყრაში მონაწილეობა ელექტრონულად, მოსახლეობის აზრის კვლევა ვებგვერდის ან სოციალური ქსელების საშუალებით და სხვ.

ანგარიშის მიხედვით 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი თანხის წლის ბოლოსთვის ათვისების მაჩვენებელი შეადგენდა 13%;

2021 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი თანხის წლის ბოლოსთვის ათვისების მაჩვენებელი შეადგენდა 23%;

ანგარიშის თანახმად თავისუფალი ნაშთის არსებობა გამოწვეულია პროგრამის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ხარვეზებით, კერძოდ, მერიამ სრულად არ გამოიყენა ფინანსური რესურსები, ეკონომიები შესყიდვებიდან, შეუსრულებელი ხელშეკრულებებიდნ დარჩენილი თანხები და ა.შ. შედეგად, ვერ შესრულდა მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

ასევე მუნიციპალური ბიუჯეტებით განსაზღვრული არ არის პროგრამის მიზნები 2020 2021, და 2022 წელს

საბიუჯეტო პროგრამა წარმოადგენს პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და

ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. პროგრამას უნდა ჰქონდეს მიზანი და ბიუჯეტი. პროგრამები – შესაბამისი აღწერით, მიზნებით, შედეგებით და შეფასების ინდიკატორებით მოცემული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ინფრასტრუქტურული პროგრამაა. მსგავსი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ძირითადად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ მაჩვენებლებში. პროგრამის დაგეგმვისას ნათლად და ცხადად უნდა განისაზღვროს პროგრამის მიზნები, შუალედური და საბოლოო შედეგები და შეფასების ინდიკატორები.

მუნიციპალური ბიუჯეტებით განსაზღვრული პროგრამის მოსალოდნელი შედეგები განსაზღვრული არ არის 2020, 2021 და 2022 წლებში

მუნიციპალიტეტს არ აქვს დადგენილი პროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორები. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორების განსაზღვრა მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც თანხვედრაშია როგორც პროგრამის მიზნებთან, ასევე შედეგებთან და დამგეგმავ მხარჯავ დაწესებულებას ხელს უწყობს, დასახოს კონკრეტული ამოცანები და შეაფასოს საბიუჯეტო

პროგრამის ეფექტიანობა. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებს მიზნების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრისათვის სასურველია ჩატარებული ჰქონდეთ წინასწარი სამუშაოები და შეისწავლონ სხვადასხვა დასახლების ინფრასტრუქტურული საჭიროებები. აღნიშნული კვლევების საფუძველზე მერიებმა უნდა მოამზადონ დეტალური გეგმა, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების საჭიროება და მათი გადაჭრის გზები. გეგმაში უნდა აისახოს, რომელი პროექტების დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტით და რომელი შეიძლება დაფინანსდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით". კერძოდ, მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის კონკრეტული და არ არის იდენტიფიცირებული თითოეული დასახლების საჭიროება; დადგენილი არ არის, რომელ ლოკაციაზე არსებობს ინფრასტრუქტურის მოწყობის/რეაბილიტაციის აუცილებლობა; ასევე არ არის განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლები, მაგალითად, რა სიგრძის არხია გასაჭრელი ან რამდენი კილომეტრი გზის მონაკვეთი საჭიროებს რეაბილიტაციას, გარე განათების რამდენი წერტილია მოსაწყობი და ა.შ. მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების არქონა ან არასათანადოდ განსაზღვრა, როგორც წესი, მიუთითებს დაგეგმვისა და მართვის ხარვეზებზე. შედეგად, შესაძლოა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები არასისტემურ, არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებდეს და მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფდეს სასურველი შედეგის მიღწევას. მაგალითად გარე განათების სამუშაოების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა ზუსტად განსაზღვროს მიზნები და პრიორიტეტები: შეზღუდული ფინანსური რესურსიდან გამომდინარე, გარე განათების სისტემა ვერ მოეწყობა მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე, დასახლებების ყველა უბანსა და ქუჩაზე. საჭიროა მერიამ განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გარე განათების პროექტის განსახორციელებლად შეირჩევა კონკრეტული ლოკაციები (მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, სკვერები, პარკები, მაღაზიები, სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიები და ა.შ.). რეკომენდაცია №1. პროგრამის სათანადო დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების უზრუნველყოფისათვის, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა საკუთარი სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე: - სხვადასხვა დასახლებაში ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, მიზანშეწონილია შეიმუშაოს დეტალური გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების საჭიროება და მათი დაკმაყოფილების გზები; - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მიზანშეწონილია ჩამოაყალიბოს როგორც მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილი ან ცალკე დოკუმენტი, რომელშიც პროგრამის 2024 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში მახასიათებლები განისაზღვრება კონკრეტული პროექტების/დასახლებების მიხედვით; - ნათლად, ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვროს პროგრამის მიზნები, რომლებიც თანხვედრაში იქნება ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე განსაზღვრულ პროგრამის მიზნებთან; - განსაზღვროს პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები, რომლებიც იქნება კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი.

აღსანიშნავია, რომ არ არის გამოქვეყნებული ინფომაცია საპროექტო წინადადებები (სოფლის კრების ოქმები) 2020, 2021 და 2022 წლებში, აქვე უნდა ითქვას, რომ დღეის მდგომარეობით აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია და ინფორმაცია ხელმისაწვდომია 2023 და 2024 წლის კრების ოქმების შესახებ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე https://dmanisi.gov.ge/meria/soflis-krebebi-20

ზოგადად სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი ყველა ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს გამჭვირვალედ, მის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელება.

მიზანშეწინილად მიგვაჩნია დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წლის 3 ივნისის № 002719/18 წერილით წარმოდგენილი 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

14 .მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის №გ-109-109240253 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.N56-ში სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია“ შემცირდა 51900 ლარით, ვინაიდან მიმდინარე წელს აღარ ხორციელდება და დაგეგმილია 2025 წელს (პროექტში შევიდა ცვლილება“ და გადატანილი იქნა

„ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N 167-ში კომუნალური სამსახურის შენობის რეაბილიტაციის“ დამატებითი სამუშაოების გამო ხელშეკრულება იზრდება 10%-ის ფარგლებში.

დაემატა „2024 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 400 000 ლარს, საიდანაც 350000 ლარი გრანტის წილია, ხოლო 50 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის, გადმოტანილი იქნა მერიის სხვა ხარჯებიდან. 844 998 ლარი ანაზღაურება კი მოხდება 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

24	**ქ.დმანისში აღმაშენებლის ქუჩის მოასვალტების და ჯუბერის N 3 სანიაღვრე არხის სამუშაოს მოწყობა.**	**გზები**	**50.000**	**2024 წლის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 400 000 ლარს, საიდანაც 350 000 გრანტის წილია, ხოლო 50 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის; 844 998 ლარი ანაზღაურება კი მოხდება 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;**

ზემოდ აღნიშნული თანხები დამატებული იქნა თავისუფალი ნაშთებიდან.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

15 .მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

წარმოდგენილია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 01.07.2023 წ. – 20.06.2024 წ. პერიოდის ანგარიში. კომისიაში სულ ფიქსირდება 10 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა 3, ხოლო დანარჩენი 7 განცხადების შემთხვევაში პასუხი გახლდათ უარყოფითი.

1. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი საკითხი და **დაასკვნა,** რომ იგი სრულიად შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 18

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი